ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი"-ს წევრების:

1. მამუკა ახვლედიანის;
2. დავით ავალიანის;
3. თამაზ შოშიაშვილის;

2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ევროპული საქართველო - თბილისი"-ს წევრებმა 2016 წლის 12 ოქტომბერს გამართეს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის

შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციებში მონაწილეობის შესახებ.
(1.01.17-30.10.16)

---

1. მამუკა ახვლედიანი (ფრაქციის თავმჯდომარე)

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 15 სხდომაში;
საკრებულოს ბიუროს 15 სხდომაში;
ფრაქციის 15 სხდომაში;

- იურიდიული კომისიის 5 სხდომაში;
- ურბანული კომისიის 9 სხდომაში.

2. დავით ავალიანი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 15 სხდომაში;
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ჯანდაცვის კომისიის 6 სხდომაში;
- გარემოს დაცვის კომისიის 11 სხდომაში.

3. თამაზ შოშიაშვილი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 15 სხდომაში;
ფრაქციის 16 სხდომაში;

- სარევიზიო კომისიის 9 სხდომაში;
- ქონების მართვის კომისიის 20 სხდომაში.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით ფრაქციის წევრების მიერ თბილისის მერიას, მერიის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებს, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გაეგზავნათ 180 განცხადება.

ფრაქციის წევრების მიერ, მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი პრობლემების შესწავლისა და სათანადო რეაგირების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს გაეგზავნათ 120 წერილი.

ფრაქციის წევრების მიერ თბილისის საკრებულოში მიღებული იქნა 165 მოქალაქე, თბილისის სხვადასხვა უბნებში. მოსახლეობასთან გაიმართა არაერთი შეხვედრა. ჩატარებული იქნა ფრაქციის 15 სხდომა.

მოსამართლე ნაზღაიძის ძმისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის საქმეზე, ფრაქცია ,,ევროპული საქართველო - თბილისმა" თბილისის ქონების დასაბრუნებლად მიმართა კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საშუალებას, საკრებულოს სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან ერთად მოამზადა განკარგულების პროექტი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე ინფორმაციის მისაღებად დაბარებული იყვნენ თბილისის მთავრობის წევრები, რიგგარეშე ანგარიშის წარსადგენად საკრებულოში დაბარებული იქნა თბილისის მერი დავით ნარმანია, საქმე შესასწავლად გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას, შიდა აუდიტის სამსახურს, სარჩელი წარედგინა სასამართლოს, განხორციელდა შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

,,თავისუფლების მოედანთან'' მდებარე მიწის ნაკვეთისა და ოქროყანაში მდებარე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო მიწის ნაკვეთებისათვის ფუნქციური სტატუსის მოხსნისა და შემდგომ ამ ნაკვეთების ბიძინა ივანიშვილის კომპანიებისთვის გადაცემის თაობაზე მიღებული საკრებულოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან ერთად წარედგინა ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით წარმოებაში არის მიღებული და განხილვის მოლოდინში იმყოფება.

ფრაქცია ,,ევროპული საქართველო - თბილისი"-ს აქტიურობამ მეტწილად განაპირობა ,,ბავშვთა სამყაროს'' ხანძრით დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემის საკითხის დადებითი გადაწყვეტა

ფრაქცია „ევროპული საქართველო - თბილისი“-ს წევრები რეგულარული ბრიფინგებით, მასმედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებებით ახდენენ თბილისის მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვაზე, თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის თაობაზე, თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის შესახებ, თბილისის მოსახლეობის სოციალური დაცვის, მუნიციპალიტეტის სხვა საჭირო და პრობლემურ საკითხებზე.

მამუკა ახვლედიანი

დავით ავალიანი

თამაზ შოშიაშვილი